

572
1985

ISSN | 0132-5965
საქართველოს
განათლების
მინისტროს



1985 წლის № 3

ბაზა



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის გენერალური უფროსი

მისეილ სერგის ძე გორგაძე

უპროსი ჩვენით



17.9.73

გლოვის დღე დაუდგა ჩვენს ქვეყანას — გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

ჭაბუკობაში ის კომკავშირული წინამძღოლი იყო და, იმ დროიდან მოკიდებული, საქვეყნო ღვაწლით აღზეჭდილი დიდი და სახელოვანი გზა განვლო — ერთგულად, თავდადებით ემსახურა კომუნისტური პარტიის საქმეს, ქვეყნის და ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში დგომისას კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მთელ თავის ცოდნას და პარტიული მუშაობის გამოცდილებას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ გაძლიერებას — მისი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, კულტურის აღმავლობას, მშვიდობიანი და ნაყოფიერი შრომის უზრუნველყოფას.

ჩაქრა ხალხის სამსახურში გაღებული მისი სიცოცხლე, მაგრამ არ ჩამქრალა მომავლის რწმენა, ქვეყნისა და ხალხის უძლეველობის რწმენა, რომელიც მუდამ წინ უძღოდა ჩვენს ძლევაშოსილ ქვეყანას — ყოველგვარ განსაცდელს ატანინებდა და ყველა გამაჯვებაში ძალ-ღონეს უათკეცებდა.

ლენინის დროშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა გენერალურმა მდივანმა, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა აიტაცა. თავის სიტყ-

ვაში 1984 წლის 11 მარტს მან თქვა, რომ კვლავაც უცვლელი დარჩება ქვეყნის განვითარების ადრე აღებული გეზი, „რათა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი იყოს ჩვენი საბჭოთა სამშობლო, რათა კიდევ უფრო ლაღად გაშალონ ფრთები სოციალიზმის აღმშენებელმა ძალებმა“; ყველაფერი გაკეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის, საყოველთაო მშვიდობისათვის; განვითარდება მეგობრული და ძმური ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან, ყველასთან, ვინც კი სანაცვლოდ ნდობას და მეგობრობას შემოგვაგებებს, ვინც საბჭოთა კავშირით მხარს დაუჭერს მშვიდობას და პროგრესს, ანუ წინსვლას. „კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს კეთილი ნებით, ნდობას — ნდობით“.

ეს ყველაფერი კი — ადამიანის ინტერესების სადარაჯოზე დგომა, კეთილი ნება, მშვიდობა, მეგობრობა, წინსვლა იმის სანინდარია, რომ ჩვენი ცხოვრების ყველაფერს, ყველა ადამიანისათვის ყველაზე ძვირფას არსებებს — ბავშვებს ბედნიერ ცხოვრება ექნებათ, ექნებათ ზრდის. განათლების, თავიანთი ნიჭისა და უნარის განვითარების საშუალება. ქვეყნის კეთილდღეობა ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი საუკეთესოსაკენ ექნებათ გზა ხსნილი ბავშვებსაც, ბავშვებს, ვინც თავისი ხელით უნდა გამოჭედოს მომავალი.

ამ მომავლის უქრობი რწმენით მიაბიჯებს წინ საბჭოთა ხალხი.



საქ. სსრ კ. შარქისის
სახ. სახ. რესპუბ.
გეგლირთქა

ცირა ჭიბიაშვილი

ბაკათები

რა სიხარულით ავსილა,
ეს რა ღიმილი ანათებს,
კითხულობს ჩემი ბებია
თანამებრძოლთა ბარათებს.
ფოთი, თელავი, ღუშანბე,
ქერჩი, კიევი, ტალინი...
სად არ ჰყავს თურმე მშობილი
ბრძოლიდან გამოყვანილი.
მოწულებების და კი არა
ღვიძლი და იყო ნამდვილი,
იმედის შუქად ბრწყინაუდა
ოპის დროს მისი მანდილი,
ბებოს თმასავით ქათქათა,
ბებოს გულივით ნათელი,
მიტომ ჰყავს ერთგულ მგობრად
რუსიც, სომეხიც, ქართველიც...
ისევე მოფრინდნენ მტრელები,
როგორც გათყნა რვა მარტი,
თერთმეტი თბილი ბარათი
ნაოცნებარი, ნანატრი.
ვეელა სიკეთის მდომელი,
ვეელა მშვიდობის მსურველი,
ის და იასამანის
შემოაფრქვიეს სურნელი.
რა სიხარულით ავსილა,
ეს რა ღიმილი ანათებს,
კითხულობს ჩემი ბებია
თანამებრძოლთა ბარათებს.

მამავლა მრეველიშვილი

ბახუხული ჩუჩხეაღ

ნასადილევს ნატო ჩურჩხელას შეეკცეოღა. ძმა შეჩერღა ღა უთხრღ:—ღახე, რღ კარგი ჩურჩხელღ გერგო, მე კი ქეღსავით მღგარი შემხეღღ. წეღღან კბიღლი ვერ ღღეღკარე.

— მოიკღ შენი ჩურჩხელღღ, ცხელ ტღფეზე ღღეღღოღ ღღ ისიღ ასევე ღღარბიღღღღღ.—მიუგღ ღღამ.

— ჩემი უღეე გღღეღღღღ.—თქეღ ღღნღნეღით ძმამ.

— არ უღღღ აჩქარებუღღღღღ, ჩვენ ხომ ერთნღღიღ ჩურჩხეღღღ მღგეცღ ღღღღღღღ.—უთხრღ ღღიღმ ღღ თღვისი ჩურჩხეღღღღღ უწიღღღღ.

— ნახე, რღ კარგღღ მღღღღღღღღღ შენიღ, ცოტღ რღმ მღგეღღღღღ.

ნატოს მღღღღღღღ ძმღ გულში სულსწრღღღღღღ ნღნღღღღ.



მბატბარი ნანღ ჰურღღღღღ

მზიღ ჩხეღღღღ

გეგეღღღღ

მზე გღღღღღღ—მზექღღღღ,
აბტეღღღღღღ ქეღეღღღღ,
ერთი მღნახეღ, ვიღ არი,
მთეღზე ნისღღი რღმ უღეღღღღ!
ნღღეღღღღ ფრთეღღ გეღღღღ,
აჰჰეღ მხიარულ მზის სხიღს,
გღღღღღღ ჰეღღღ გზღ—ზღრღღ,

ჰეღღღღღ გეღღღღღღ ნისღღი.
სიღმის ცრეღღღღღ ციღღღღღ
ჩღღღღღღ იღს თეღღღღღი:
— მოვღ, მიბოღვის ციღღღღღ—
თეღღღღღღღღღღ ზეღღღღი,
მოღღღღღღღღღღ, ვიღღი ღღ
ფრთხიღღღღ ჩღმიბნეღღს თმღღღი!



კოქანდარა

ნენო ზეზარაშვილი

მხატვარი თემო მავალიძე

ერთ დედაბერს ქათამი მოუკრუხდა. დედაბერმა კიბის ქვეშ მოხუხულავებულში თივა ჩაუფინა, დაუნყო ახალი კვერცხები და დასვა რბილად.

იჯდა კრუხი გადაფაფრული, ხან გადაბარუნებდა ნისკარტი კვერცხებს, ხან გადმოაბრუნებდა, ცდილობდა ყველა მხრიდან გაეთბო. ათასში ერთხელ ადგებოდა. ჰაიპირად აკენკავდა იქვე მიყრილ საკენკს, წყალსაც დაღვედა კოკურის ნატეხარიდან, მერე ისევ გადაეფოფრებოდა კვერცხებს. იყო ასე კრუხი თითქმის სამი კვირა.

ერთ დღეს ჩუმი კაკუნი შემოესმა და ფრთების ქვეშ პატარა წინილა აუფუთფუთდა, იმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მალე ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ კვერცხებიდან წინილები. კრუხი მაინც ზის. ერთი კვერცხი ისევ მთელია, ამის გამოჩევას ელოდება. როცა იქიდანაც გამოხტა წინილა, მხოლოდ მაშინ ადგა, გაფხორილი, გაფუყული ეზოში გავიდა და ოქროსფერი, ფუმფულია წინილები გაიყოლია.

— გამოიყვანა ქა, გამოიყვანა, ერთიც არ გაალაყა, უკლებლივ გამოჩეკა. აი, კრუხიც ეგეთი უნდა! — თქვა გახარებულმა დედაბერმა, თან კვერცხის გულში აფშრუკული მჭადის ფქვილი მიუყარა. რამდენიმე დღის შემდეგ კი დიდ, ბრტყელ ქვაზე პატარა ქვით სიმინდის მარცვლები დაუნაყა. ამის შემდეგ გაიგონებდნენ თუ არა კაკუნს წინილები, გაფოთებულები მობობოდნენ, ხელეში უცვივდებოდნენ დედაბერს.

— ფრთხილად, ფრთხილად, ლაბუებო, ნისკარტში არ მოგხვდეთ ქვა, — ევერებოდა მოხუცი.

კარგად დანაყრებულ წინილებს კრუხი კუტკუტით გაიყვანდა ვაშლის გრილობი, ფრთების ქვეშ შეისხამდა, დააძინებდა, თვითონაც ბუმბულეებში შერგავდა თავს და ჩასთვლემდა.

ერთხელ, როცა ასე მიყურებულყვენ, ფრთის ქვეშიდან თავი გამოყო ერთმა წინილამ, იქაურობა მიათვალ-მოათვალა, მაღლაც აიხედა. მერე მთლიანად გამოძვრა,

დედის ფრთაზე აფოფხდა და ზურგზე მოექცა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კრუხი ადგა, ეზოში სიარული დაიწყო. ყველა უკან მისდევდა, მარტო ერთი წინილა ეჯდა ზურგზე. უბუზღუნებდნენ, საყვედურობდნენ დაძმანინი: „შენ ვინა ბრძანდები, ზემო თაროზე რომ წამოსკუპებულხარ, ჩვენც გვინდა მანდარ.“

— ეს კოჭანდარაა, ყველაზე გვიან გამოვიდა კვერცხიდან, თქვენზე ბევრად პატარაა, გორობებზე უძნელდება სიარული და ალბათ იმიტომ ავიდა მაღლა. იყოს, არა უშავს რა.

— გამოექომაგა კრუხი. ნაბოლარაც იჯდა მაღლა და მედიდურად გადმოჰყურებდა დაძმებს. ღამეც იქ იძინებდა, მხოლოდ საკენკისთვის თუ ჩამოხტებოდა ხანდახან, დანაყრდებოდა და ისევ აფოფხდებოდა.

ერთხელაც წინილები ვაშლის გრილოში, დედის ფრთებქვეშ თველმენ, კოჭანდარა კი მაღლა ზის, ხან დახუჭავს პანანინა თვალებს, ხან გაახელს.

უცბად ნიაემა წამოუბერა. ვაშლის ტოტი

შეირხა, მონყდა ერთი ჭიანი ნაყოფი, ტრი-ალ-ტრიალით წამოვიდა და ნაბოლარაც შედგა კინკრისოზე დაეცა. შეშინებული კოჭანდარა ძირს ჩამოხტა. წივნივებს, შველას თხოულაობს. მიესია კრუხ-წინილა, მაგრამ რით რა უშველონ, არ იციან.

დედაბერი იქვე იჯდა, წინდასა ქსოვდა და გაიგო, რაც მოხდა. მაშინვე წამოიგდა, სახელიდან სველი ტილო და დოლბანდის ნაჭერი მოიტანა, სველი ტილო ნატკენ ადგილზე დააადო, რომ კოპიჭი არ დასტყობოდა, მერე დოლბანდის ნაჭრით შეუხვია, თან შეწუხებულმა ჩაილაპარაკა: „კიდევ კარგი, ჯერ დამსხვილებული არ არის ვაშლი, თორემ ხომ გაუტყდებოდა თავი ამ საცოდავს“.

...დასდევს კრუხს თავშეხვეული კოჭანდარა, დედის ზურგისკენ გახედვაც აღარ უნდა. ყველაზე წინ ის შეიყუყუბა ხოლმე ფრთების ქვეშ. ახლა გრძნობს, რომ დაძმებთან ყოფნა უფრო კარგია, იქ თბილა კიდევ და არც იმის შიში აქვს, თავში კიდევ რამე დამეცემარო.





სვალ მალაროელთა ღღუა

თეზიზი ხალაური

ყოველ თქვენგანს კარგად მოეხსენება, რომ არიან ბიჭები ღღუმუღამ ერთიმეორეს რომ ეჭირებოდნენ და ეტოკებოდნენ—არა ჩემი სჯობს, არა ჩემი!

დათო და გიოც ამდგვარი მეგობრები არიან, მუღამ კინუქრითა და გაწამაწითით მთავრდება მათი თამაში.

ღღუსაც, — ჩემი ბაბუა სჯობს შენსასო, — აიტუნა გიომ.

— ვერ მოგართვი! — ყვინჩიდასავით წაიდგო კისერი დათომ, — მაინც რითი სჯობს?

— ღღონით და მოხერხებით.

— ღღონით?

— დიხაც, ვიდრე ბაბუაშენი ერთ მერტის გათხრის, ჩემი ასის გაყვანას მოასწრებს.

— რას ამბობ, ბიჭო? — გაიოცა დათომ, — ჩემს ბაბუასთან რას მოვა, ამდენი ორღენები ვისა აქვს მიღებული?

— ჩემსას რა, ნაკლები აქვს?

საკვამ იმაში გახდათ, რომ დათოსა და გიოს

ბაბუები მალაროელები არიან, გვირბაგამყვანები, მთელ საქართველოში სახელმწიფოებრივი ბრიგადირები; სოციალისტურ შეჯიბრებაში მუღამ ერთიმეორეს ეტოკებოდნენ, ხან ერთის ბრიგადა სჯობნის, ხან—მეორისა.

— იქნებ შენც ჩემზე უკეთ შეგიძლია მიწის თხრა, — ეჭირებოდა დათო.

— რატომაც არა, — მაგრად უხედა დათო.

— მოდი, შევეჯიბროთ.

— მოდი.

თითისტოდა ბავშვებს მალაროელები ვინ ჩაუშევენ, რამე სხვა უნდა იღონონ, სხვა ასპარეზო მოსანახი.

ქუჩის გადაღმა მეზობლეთა სტადიონი შენდება, შენდება კი არა მთავრდება, სარბენი ბილიკები და დარჩათ, იმათ მოსაწყობად უამრავი ქვიშა და სილა მოუბიდავთ და მთებრივთ დაუხედავებიათ.

— აქედან დავიწყეთ, — სთავაზობს გიო, — ვინც იქითა მხარეს ადრე გაძვრება, გამარჯვებულიც ის იყო.

ბიჭები თითო ნაბიჯით შორიშორებოდნენ,

პაღტოვებს იხდიან, ხედში პატარა ნიჩბები უჭი-
რავთ.

— ერთი, ორი და სამი.—ითვლის დათო და
შეჯიბრი იწყება.

გიოს შავყურა ფინია ყვეფით არემარეს იკ-
ლებს, დასაბმელი გახდა, რა უნდათ ბავშვებს სი-
ლაში, რა თხუნულეობით ჩაურგავთ თავები?!

ბინდებუნდმაც მოიწია, ბიჭებს ისე გულმომ-
გინვე უშრომათ, იმისგრძე გვირაბები გაუთხ-
რიათ, რომ თავფეხიანად სილაში შემძვრადან,
ფეხსაცმელებილა მოუჩანთ.

სწორედ ამ დროს მალაროდან შინისაკენ ბრუნ-
ებოდნენ კარმაგი მეგობრები—გიოსა და და-
თოს ბაბუები.

— დავით, კაცო, ცუცხლი ხომ არ წაუკიდეს
თქვენს შავყურა ფინიას, რატომ წაკეწკაფებს
ეგრე გამწარებული?

— რა გითხრა, ჩემო გიორგი, მივიღეთ და
გნახათ.

მეგობრები გუბს იცვდიან და ქუჩის იქითა
მხარეს გადადიან, გაოცებულები მისჩერებიან
გულგახეთქილ ძაღლს, გორმანზე რომ შემოსკუ-
პულა და თათებით გამაღებელი თხრის სილას.

იმითი მოსვდაა და თითქოს ჯიბრზე ჯვრ და-
თოს ჩაენგრა გვირაბი და შემდეგ გიოს, ბედი
არ გინდა! მთედ სხეულზე ისეთი სიმძიმე დააწვათ,
ხედის განმარევასაც ვვლარ ახერხებენ.

გამოცდილ მალაროელებს რა შეეშებათ,
ფეხებში ჩასწვდნენ ბიჭებს და დავითმა გიორ-
გის შვილიშვიდი ამოითრია და გიორგიმ კი-
დეგ—დავითისა.

დარცხენილი და თავითფეხიანად მოთხუნუ-
ლი ბიჭები თავჩაქინდრულები დგანან და მიწას
ჩასჩერებიან.

— აი თქვე უნიათოებო, ეგრე უკეთური
შრომა ვის გაუგია!—ჰვირობს დავით ბაბუა.

— გვირახს რომ გამაგრება უნდა, არ გაგი-
გიათ?—ჰკიცხავთ გიორგი ბაბუა.

შავყურა ფინია კი გაზარებული ხტის და სულ
სხვა ხმაზე იყფება.

— მოდი, ჩემო დავით, ხვად ხომ მეშახტეთა
დღეა, და ეს ბიჭები ჩვენს მალაროში ჩავიყვა-
ნით, ყველაფერი ვუჩვენოთ და ავუხსნათ.

— ეგრე მოვიქცეთ.—ეთანხმება მეგობარს
დავითი.

— ვაშა!—ყვირიან გახანრებული ბიჭები.
ხვად მალაროდეთა დღეა!



მხატვარი თამარ ფხიკიძე

ივინე უხვარიძე

ღამება

ამასწინათ მამიქომ
ღამაში ხბო მივიღე,
კუნტრუშა მალიან,
ღარბის აჭეთ-იქითა.
წუსელ შინ არ მოსულა.
ჯაფრით არ მიძინია.
ტყეში გაპარულიყო,—
შეღების არ უშინია?
შეღზე სარი შევბით
ჩვენი უსოს ბაღლებმა.
როცა დღის—წყარუნთხს,
აღარ დამკვარტება.



ჯულიანა მილანიე

თაია

წვეს ციცქნა გოგო ლოცინში,
დედოკო უნანაფებს,
„მიღის დრო არის, თაია,
რატომ არ ხუჭვო თვალებს?“
„თოჯინა გაცვიფებული,
დედოკო, კენაცვალო,
რა მომასვენებს მანამდე,
სანამ წამალს არ დაღვებს,
უკ, მიღისათვის გვცაღია
ჩვეს, შეიღებიან ქალებს?“



გებო და ჰვლი

ბუბო კენესის: „გაი, ჰვალი,
მომეშეველა ღაღი!“
მობუზულა ხაცოღაუად
ამოღენა ქალი.
მოფახვიე წელზე მაგრად
ბეწვუბეწვულა შალი,
ანხად აღარ დაუხსნება
ხამაეკლი ჰვალი?



ილიან ნალიაშვილი

სინდრი და რაღი

მოუსვენარ ცინდალს
ტრქსავს ციცქნა რაღი.
— ნინოს „დედა უნას“
რად გამოკარ ბრქვალთ?
ნუთუ აღარ იცი,
რომ ეს წიენი, ფისო,
მე მანჭქოს უნდა
ნინომ სამერძისოდ.

მამაკარინე ხაბალიაშვილი

მზე პირს იბანს

მზე პირს იბანს,
მზე იცინის,
აღარსად ჩანს
ღრუბლის ქულაც—
მოყბარტა მალიან და
დეღამიწა ინახულა.





მხატვრობის აღმოჩენის აბაზაი

ჯურბა ნადირაძე

მხატვარი ელშარდ აბოშაძე

ათასწლეულები გავიდა. დადგა მეცხრამეტე საუკუნე — დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქა, და მეცნიერებმა ქვის იარაღებთან ერთად ქვის ხანის ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებიც აღმოაჩინეს. ამ აღმოჩენის ისტორია ულამაზეს საბავშვო ზღაპარს უფრო წააგავს, ვიდრე სინამდვილეს, მაგრამ ყველაფერი ის, რასაც ქვემოთ გაიბობთ, მეცხრამეტე საუკუნეში, ესპანეთში მოხდა: ალიონი იქნებოდა, მონადირის ძალი მელას რომ ჩაუდგა კვალში. მელა, მოგეხსენებათ, ეშმაკი ცხოველია, ძალი რამდენჯერმე გააცურა, გზიდან გადახტა, ბარდებში გაიჩინა, მეძებარს კვალს აურიო, ტყეს გააღწია, მინდორზე შურდულივით გაიჭრა და ფერდობს შეუსყვა. ძალმაც ძალღობა არ მოიშალა, მელას თავგადაკლული გაედევნა და ის იყო, კბილით კუდზე უნდა მისწვდენოდა, რომ მელა თითქოს მიწამ ჩაყალბა და ძალიც თან ჩაიტანა. ამ ამბის მაცემელი მონადირე გაკვირვებისაგან თვალები კინალამ გადმოსცვივდა. გულგახეთქილმა მიირბინა იმ ადგილამდე, სადაც მელა და მისი მდევარი მეძებარი გაუჩინარდნენ, მინის სიღრმეში ჩამავალ ბნელ სივრცეს ჩააშტერდა და მიხვდა, რომ მელა და, მის კვალდაკვალ, ძალიც, ამ ხვრელში ჩახტნენ. მეგობარი რომ გადაერჩინა, კაცმა ქვებით ჩახერგილი ხვრელის გაფართოება დაიწყო და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაბნელებულ გამოქვაბულში აღმოჩნდა.

მღვიმის კართან მისი მურია საწყალობლად ნკმუტუნებდა, მელა კი არსად ჩანდა. კაცმა გამოქვაბული გაანათა, კედელზე უცნაური ნახატები შენიშნა, ცოტა შეეშინდა და იქაურობა სასწრაფოდ მიატოვა. მაგრამ იმ დღესვე აგარაკზე ეახლა ამ ადგილების მეპატრონეს, დონ მარსელინო საუთოლას, და ყველაფერი დანვრლებით უამბო. მარსელინო მოყვარული არქეოლოგი იყო, მაგრამ გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის შესახებ არაფერი ჰქონდა გაგებული. მღვიმე კი ინახულა, ნახატებსაც მოკრა თვალი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინცდამაინც დიდ ამბად არ მიიჩნია. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი პარიზში მოხვდა, იქ გამოფენაზე ნახა საფრანგეთის გამოქვაბულში აღმოჩენილი უძველესი ქვის იარაღები, და ალტამირას გამოქვაბული გახსენდა. შინ დაბრუნებულმა გათხრები დაიწყო და შესანიშნავად ნახელავი ქვის იარაღები იპოვნა.

ერთხელ მარსელინომ გათხრებზე თავის თორმეტი წლის გოგონა, მარია წაიყვანა. მამამ რომ მუშაობა დაიწყო, გოგონა მღვიმის ვიწრო ყელში გაიჭრა და საბუნებო გაუჩინარდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გამოქვაბულის სიღრმიდან მამას გამოსძახა სიტყვენი, რომლებიც მალე მთელმა მსოფლიომ გაიგო: „ტოროს პინდა, ტოროს“ — „აქ ხარები დახატული, ხარები“, — ყვიროდა ალტაცებული მარია და მამას გამოქვაბულის სიღრ-

მეში უხმოვდა. მარსელინო სასწრაფოდ გაძვრა მღვიმის ყელში, დარბაზში მოხვდა და გაცივებისაგან გაშეშდა; დარბაზის კედლები და ქერი დაფარული იყო გარეული ხარების, ცხენების, ირმებისა და ტახების გამოსახულებებით. ეს უცნაური და ულამაზესი ნახატი ცხოველების ფარნების შუქზე თითქოს ამოირავდნენ კიდევ. მამა-შვილი გააკოცა და თან შეაშფოთა ამ უჩვეულო ნახატების ხილვამ. მარსელინო ვერ მიმხვდარაიყო, ვის უნდა შეესრულებინა ბნელით მოცული ნესტიან მღვიმეში ეს ულამაზესი ნახატები? ჩვენს დროში ვის უნდა დასჭირვებოდა ამ ჩაშვევებულ კედლებზე გაეისიჯა თავისი ნიჭის ძალა? ვინ უნდა შემოსულიყო მღვიმეში 1868 წლის მერე, როცა იგი პირველად აღმოაჩინა მონადირემ? მას შემდეგ თორმეტი წელი გაიდა და მარსელინოს გაახსენდა, რომ აღმოჩენის დღესვე შესასვლელში შენიშნა შავი ხაზებით შესრულებული ნახატები. ახლა გააცვიცებით დაიწყო მათი ძებნა და როდესაც კიდევ სხვებს მიაგნო, მაშინვე ირწმუნა, რომ მხატვრობა შორეულ წარსულში გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანისაგან იყო შექმნილი. მარიასა და მარსელინოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მათი ფარნების შუქი იყო ის შუქი, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე ბნელით მოცული სივრცე გაცვრიცა და მთელ მსოფლიოს ამცნო მანამდე უცნობი ხელოვნების აღმოჩენის ამბავი. ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობასთან ერთად ქვეყნის ყურნალ-გაზეთები ბეჭდავდნენ პატარა მარიას სურათებს. იგი მაშინდელი მსოფლიოს ცნობილი მოქალაქე გახდა და მამასთან ერთად სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი.

მსოფლიოს ვველა კუთხიდან დაიძრა ხალხი ალტამირას საოცარი ხელოვნების სანახავად. მარია და მამამისი მომსვლელ-წამსვლელის მიღება-გაცილებას ველარ აუდიოდნენ. ამ ამბავმა სასახლის კარამდეც მიიღწია და გაუფიქრარი ამბავი მოხდა: ესპანეთის მეფე ალფონსო მეთორმეტე საკუთარი ფეხით ეწვია საუთოლას და ალტამირას მღვიმე დაათვალიერა. დიდმა მეფემ პატარა მარიას მადლობა მოახსენა. მისი აღმოჩენილი მხატვრობის ხილვით გამოწვეული აღფრთოვანება კი იმით გამოხატა, რომ მღვიმის კედელზე საკუთარი გვარი და სახელი წაწერა.

ამ ამბით უსაზღვროდ ხარობდა მოყვარული არქეოლოგი დონ მარსელინო საუთოლა, მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელბულა. გამოჩნდნენ ადამიანები, მათ შორის სახელგანთქმული მეცნიერებიც, რომლებმაც მარსელინოს მატყუარა უწოდეს. ისინი ამბობდნენ, პირველყოფილ კაცს, რომელ-

მაც სახლის აშენება და ხორბლის მოყვანა კი არ იცოდა, არ შეეძლო ასეთი მაღალმხატვრული, მომხიბლავი ხელოვნება შექმნარი ეს ამბავი დროებით ყველამ დაიჯერა. შიწმუნდა მარიასა და მარსელინოს კარ-მიღამო, ალტამირას მღვიმის ახლოს დიდხანს აღარავის დაუდგამს ფეხი. ხალხმა საუთოლა მატყუარად მიიჩნია. კაცი ამის გამო დარდით აღარ იყო. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელბულა ასე, საქმეში არქეოლოგები ჩაერივნენ. მტყუანი და მართალი რომ გაერჩიათ, მათ ზურგჩანთები აიკიდეს, ხეობებს შეუყვინენ, ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მღვიმეებს მიაკვლიეს, შიგ შეძვრნენ და კედლებს გულმოდგინედ დაუწყვეს დათვალიერება: მალე მათი ფარნების შუქზეც ამოჩვენდნენ უხსოვარ დროში დახატული ულამაზესი ცხოველების ფიგურები, და მსოფლიოს ისევ მოედო გამოქვაბულის მხატვრობის აღმოჩენის ამბავი. არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ეს მხატვრობა უძველესი იყო. ისევ გაიხარეს მარიამ და მამამისმა, სახელგანთქმულმა მეცნიერებმა უკან წაიღეს თავიანთი სიტყვა და „მატყუარების“ წინაშე თავი თავაზიანად დახარეს. მამა-შვილს მხოლოდ წამით მოედრუბლათ სახე და მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე პირმცინარენი ეგებებოდნენ ალტამირას მხატვრობის სანახავად მოსულ ცნობილ მეცნიერებსაც და ცნობისმოყვარე ტურისტებსაც.



პირობა სამართალი

პაპიდამ ქათმები აჩუქა ბაქარსა და პაატას. ბაქარს მოზრდილი ყვინჩილი მისცა, შედარებით დიდი ბიჭიაო, პაატას კი პატარა ჩრინვი დაუპირა, თვითონაც პატარააო. წამოიყვანეს ეს ქათმები და ბებიას საქათმეში დაამწყვდევს. აიფხვნენ თავშინაური მამლები, განსაკუთრებით ეგებებიანმა იწყინა მათი სტუმრობა. ეს მამალი ძალიან ყოჩაღა და ახლაც თვალები დაბნობილია, ეგებგაფრანხვით გააბობტა და დირიუყრუყა.

— თქვენ, ეი, ცინგლიანებო, როგორ გაბედეთ ჩემს სამფლობელში ფეხის შემოღებაში?

— ჯერ ერთი, ცინგლიანები სულაც არ ვართ და არც ჩემ გვეპიტნავენები დიდად, — მკვანხედ მიუგო ბაქარის ყვინჩილამ, — გვეც არ იყო, რა ჩემი ბრალია, თქვენთან რომ დამამწყვდევს? მე სულაც არ მეწყადა ჩემი პატრონისა და დაძმების მიტოვება.

— რაო, რაო, რაო? — გაიკვირვა დიდგულად ეგებებიანმა, რომელიც სიტყვის შებრუნებას ჩვეულებრივად არ იყო, — ხედავთ, ბიჭებო, რამდენს მიბედავს? ნისკარტი მამგას აბურძგნულ თავში! — მიუბრუნდა სხვა მამლებს.

— თითო-თითონი გამოდით, თუ ვაქცალები

ხართ! — არ შედრკა ყვინჩილი.

— მაშ, თუ აგრეა და... — ეცა ეგებებიანმა მამალი, მამგრამ ყვინჩილამ ფეხები იფარა და განსხვავებულად გაიხტა, მერე მარჯვდ მიაფრინდა და თავში ჩაუნისკარტა.

— უყურე ამ დაწირაკს! — გაბრაზდა მამალი.

— დაწირაკიც ხარ და ერთი მეტიც! — უპასუხა ყვინჩილამ და პატარა მკერდი კოხტად შემართა, ერთითაღია მამა-პაპის გამოჩენა ინატრია, მამგრამ ისინი გორაკს ვალში ცხოვრობდნენ და აქ საიდან გამოჩნდებოდნენ. მეტი გზა არ იყო: თუ მამა-პაპა გვერდით არ ვახლავს, შენ თვითონ უნდა გამოიჩინო მამაპაპური ვაქცა-ცობა. ამიტომაც შეაგება მკერდი მისკენ გადმომხტარ მამალს.

ყოჩაღ, ბიჭო! არ წაიქცა, არც დაიბნა და თვითონვე მიაფრინდა თვალეში, ერთი თქვენი მოწონებულისა კიდევ ჩაუნისკარტა და უკანვე გადმოხტა.

მამალმა იბტიბარი არ გაიტეხა. კისერი გაბურძგნა, უკან დაიხია და მთელი ძაღ-ლენით მიახტა ყვინჩილას. უფრო სწორედ, იფიქრა, ყვინჩილას მივასტოო, მამგრამ ყვინჩილი ამ დროს გვერდით გაუხტა, მამალმა კი საქათმის ბაღში გაყო თავი და გაიქცა. დიწყია ფრთხილი. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დაიძვრინა, მამგრამ თავ-კისერი შეეღაზა და ცოტათი შეშინდა.



— ჰარიკა, ძმებო!—შესძახა თავისიანებს.

— თითო-თითონი გამოდით, თუ ვაქაკები ხართ!—შეახსენათ ყვინჩიამ ბრძოლის წესები და მისკენ გადმომხტარ მეორე მამალს თვალბეზირი მიაფრინდა. რაკი უკან დახვევას არ აპირებდნენ, ხან ერთს ჩაუნისკარტა და ხან მეორეს: ეგვეც შენაო და ეგვეც შენაო.

შედრკნენ მამლები. თვალბეზირი ყინვებულმა ეფრეებმა კი ხმა განინახეს და კაკანით შემოუარეს ყვინჩიას:

— რომელმა ეფრემ გაგ ზარდა, შვილი, ასეთი გულადი?

— ეფა არ ვიცო. ინკუბატორისა ვარ.

— ამიტომაცა ყოფილხარ ასეთი უშიშარი. ძმის სიყვარული არ გეცოდინება და დისა.

— მთელი ქვეყნის ქათმები და-ძმად მიმიჩნია, მაგრამ თუ მტრად შემიდგებიან, არც მტრობისა მეშინია.

— მოიცა, ქალი, ეგებ ჩემი კვერცხიდანაც არის გამომჩევილი ეგ გასახარებელი. — ჩაერია ორი წლის ეფადი, —ამას წინათ ერთი ისეთი კვერცხი დაეფე, წიწილა სიყრალისაგან შიგა წილად. ჩვენი კაცები დაგემშვიდოთ და გაეგებინოთ, რომ ჩვენიანია.

მამლები ყვინჩიას ჩამოეხსნენ, მაგრამ ახლა ჩრჩხვისაკენ აიღეს გეზი, შენ ვილას ტოკიტლ-მარა ხარო.

— გულალაშვილების უბანში დაბადებულ წიწილა ვარ, გამიშვით ჩემთვის ვიარაო, — შესთხოვათ ჩრჩხვმა, მაგრამ საქმეში ხართ: ხან ერთმა უთავაზა და ხან მეორემ.

— ბებო, პატას ქათამს კლავენ, ბებო! — ხმა აიმაღლა ბაქარმა.

ბებოსთან ერთად ბაქარის ბიძაშვილი—აჩიკოც გამოჩნდა.

— რას აპირებთ, ხალხო?

— რაკი მამლები სცემენ, არა სჯობია, ჩვენ დაგვკლათ, სანამ ეგენი მოკლავენ?!—გადაწყვიტა ბებოამ.

— ეგ ხომ უსამართლო სამართალი იქნება! — გაიკვირვა აჩიკომ, —რომელიცა სცემს, ის უნდა დავსაჯოთ.

— მამალი დაგვკლა? რას ამბობ, შვილი, მაგ მამალმა ისეთი დაბათიანი ყვილი იცის, ყველა მამალი შემირცხვენია. მაგისი ჭავლა-გამოვლა ხომ ერთ რამედ ღირს.

— არ დაგვკლათ, ბებო. რაკი დამნაშავეა, გო-



დორქვეშ ამოვამწყვდიოთ და, როცა ბუკუას ისწავლის, მაშინ გამოვუშვათ.

— სწორია!—მოჩონა დიდმა და პატარამაც. ნირწამხდარი მამალი ახლა უკვე გოდორქვეშ დადის და რუყრუყებს. გოგო-ბიჭები და ქათმები კი იციონან, იხსლებიან სიცილით.

წერილი ბავშვებს



ალენა გორგაძე მხატვარი ზისო ხილაშელი

ჩემო პატარებო! მე მინდა ექიმობაზე გელაპარაკოთ. ზოგი თქვენგანი თეთრხალათიანის დანახვაზე ტირილსაც კი იწყებს. არადა ექიმის კეთილი საქმეები უანგარიშოა და ფასდაუდებელი. ექიმის ვალია განკურნოს დაავადებული ორგანიზმი. იგი ხომ ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას! დარაჯი ისე კი არ გაიგოთ, თითქოს თოფ-იარაღი სკირდებოდეს. მისი იარაღი ცოლად, სიყვარული, დაკვირვება და წამალი. რა გავწყობა, თუ ზოგი წამალი მწარეა და ძნელი დასალევი? სამაგიეროდ ის უმოკლეს დროში შეგიმსუბუქებთ ავადმყოფობას, ტკივილებს.

ახლა ისიც უნდა გითხრათ, რომ ექიმობა ყველაფერს სკირდება. აბა წარმოიდგინეთ, რომ „ავად გაგიხდათ“ თოჯინა—ან ხელი მოსტყდა ან ფეხი; ვიღაცამ ხომ უნდა მოუაროს, უნდა შეაკეთოს?



„სასწრაფო დახმარება“, „მკურნალობა“ სკირდება დაფურცლულ წიგნსაც, დახეულ ფესხაცმელსა და ტანსაცმელსაც. ახლა დედას რამდენი რამ უზიანდება სამზარეულოში, მამას რამდენი რამ აქვს „სამკურნალო“—ელექტროჩანართვლები, წყლის ონკანი, სხვადასხვა გაყვანილობები...

წელან ვახსენეთ სიტყვა „სადარაჯო“. არიან აღმნიანები, ვინც მშვიდობის სადარაჯოზე დგანან—მუდამ იმაზე ფიქრობენ, არ იქნეს ომი. ზოგნი დარაჯობენ სამშობლოს საზღვრებს, ზოგნი—წარსულის ძეგლებს.

მაგრამ მე კიდევ სხვა რამ მინდა გითხრათ. იცით თუ არა, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს, ერთმანეთის მკურნალია. ერთ ამბავს გაიშობოთ: ჩვენ გვყავდა სულ პატარა ლეკვები—ერთი კუპრივით შავი, მეორე კი—თეთრი, ქაქათა. ჩემმა შვილმა ცალ-ცალკე საწოლები მოუწყო. ერთხელ თეთრმა ლეკვმა ფეხი იტკინა. საღამოს, ლეკვების საწოლებს რომ დავხედეთ, საოცარი სურათი დავინახეთ: შავ ლეკვს თავისი საწოლი მიეტოვებინა, თეთრთან გადასახლებულიყო, პირში მისი მტკივანი თათი ჩაედო, და ისე ეძინათ. საოცარია, როგორ მიხვდა ციკქნა ლეკვი, რომ ნერწყვი მტკივან თათს მოარჩინდა! აიღეთ მცენარეები—ყვავილი, ფოთოლი, ბუჩქი, ფესვები... ყველა მცენარე რაიმე დაავადების უებარი წამალია. ჩვენი დიდი პოეტის ვაჟაფშაველას ერთი ნაწარმოების—„გველის მკამელის“ გმირს—მინდიას ყვავილები ფეხქვეშ ფეხებთან: „მე ვარო ამის წამალი“, სხვა განიძახის: „იმისა“...

ახლა კი ასე მოვიქცეთ: მოიდფიქრეთ ან უფროსებს ჰკითხეთ, შეისწავლეთ და ჩამოწერეთ, რა კეთილი საქმეები და მკურნალობა შეუძლია მზეს, ჰაერს, მთას, ზღვას, თოვლს, ნაძვის ხეს, ქინძარს, ასკილს, მაცვალს, ყოლოს, ფუტკარს და სხვა. დარწმუნებული ვარ, ძალიან გრძელად სია გამოგივით.

იყავით ჯანმრთელები.



ჯ სულე ასო

მედი მლახრიშვილი

სვეტიცხოველი

17.9.73

მცხეთაში, მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან დგას ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, კათედრალური ტაძარი სვეტიცხოველი. სვეტიცხოველის ადგილზე თავდაპირველად ხის სამლოცველო მდგარა, შემდეგ, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, აქ ქვის ბაზილიკა აუშენებიათ, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში (1010-29 წ. წ.) დიდ ქართველ ხუროთმოძღვარს არსუკიძეს შეუქმნია ის ბრწყინვალე ნაგებობა, რომელიც დღესაც ხიბლავს მნახველებს დიადი აღნაგობით, არქიტექტურული ფორმების სინატიფით და ორნამენტის მრავალფეროვნებით.


ბავშვებო, ვისაც სვეტიცხოველი გინახავთ, უთუოდ გიგრძნიათ მისი სიდიადე, მოხიბლულხართ ულამაზესი ჩუქურთმებით, რომლებითაც შემკულია მისი კედლები. ალბათ ქართველი ხალხის საამაყო შვილების, მეფეების — ვახტანგ გორგასალისა და ერეკლე მეორის საფლავის ქვებიც შეგიმჩნევიათ ტაძრის საკურთხეველთან.

გავა დრო, თქვენ გაიზრდებით, ნიკითხავთ დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“, და შეიძებნებთ სვეტიცხოველის შექმნის ისტორიას, უებარი ხუროთმოძღვრის კონსტანტინე არსუკიძის ტრაგიკულ თავგადასავალს.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური ლექსი:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი ავიგია.“

სვეტიცხოველის ჩრდილოეთ ფასადზე, ძალიან მაღლა, გამოსახულია ხელი — დიდოსტატის მოკვეთილი მარჯვენა.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ძიძგი, ძიძგი, მამალო

გეგელა და მართა,
ჩსუბი გაიმართა,
მიძგი, მიძგი, მამალო,
შენ იცი და მაგანო.



აყვავებულა მინდორი

აყვავებულა მინდორი,
მწვანედ ბიბინებს სათიბი,
შიგ ღაღლა გამოიძახოს.
უსდება ჭრელი ქათიბი.



საქმეზა ნაღი გმყდებო

ვაჟო, ვგ შენი ქებო,
არა ვთქვა, არ იქნებო,
ჭურის ჭამასე მარდი სარ,
საქმეზე წელი გწედებო.

ჩხირკედელა



ნელი ოპროპირიძე

ბირჩხუბი, წარო, ბუ, კუ

რკოს კაცუნა ჩვეულებებისამებრ ტყეში დასეირნობდა. უცებ ნაძვის ხიდან გირჩი ჩამოვარდა და, ვირუჯას რომ არ ემარჯუნა, ჩხირკედელას შიგ თავში მოხედებოდა. უნდოდათ გვერდი აეღლოთ გირჩისათვის, რომ ხმა მოესმათ, „მე გირჩი კი არა, წერო ვარ! ოღონდაც რკოს პატარა თავი მაკლია, ხმელი წკირების კისერი და გრძელი ფეხები გამიკეთე და, რაც მთავარია, ეკლის ნისკარტი არ დაგვიწყედსო“.

ჩხირკედელას ბეგრი არ უფიქრია, პატარა დანა შოიშარჯვა და საქმეს შეუღდა. მაღე მის წინ ამაყი წერო წამოიშარათა. მან მადლობის ნიშნად რკოს კაცუნას თავი დაუტრა და პატარა ტბისკენ გასწია.

— ჩხირკედელა, მე ხომ ბუ ვარ, როგორ ვერ შემინუნე? — დაიწუწუნა მეორე გირჩმა. რკოს კაცუნას შეეცოდა გირჩი. ფერადი ქაღალდისაგან გაუკეთა დიდი ბრიალა თვალეები, ნისკარტი, ყურები, და ბუ გამხმარ ტოტზე წამოასკუბა.

ჩხირკედელამ წასვლა დააპირა, რომ უცებ ერთ გაბრტყელებულ გირჩს მოკრა თვალი, ხელში აიღოთ მიაწება წყირის მოკლე კისერი, ზედ პატარა რკოს თავი დაამგრა და მოხდენილი კუ ბალახებში გაუშვა.

